

ზოგადი ინფორმაცია

დასახელება: COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტის დამატებითი დაფინანსება

სტატუსი: მიმდინარე

ხანგრძლივობა: 2021 წლის 26 ივლისი - 2023 წლის 30 აპრილი

დონორი/დამფინანსებელი: რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)

პროექტის განმახორციელებელი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ბიუჯეტი: 28,700,000 ევრო

ხელშეკრულების მიზანი

2020 წლის პირველ მაისს საქართველოსა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების მიზნით, გაფორმდა სასესხო შეთანხმება, რომლის მიზანია საქართველოში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული საფრთხეების თავიდან აცილება, გამოვლენა და მასზე რეაგირება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზადყოფნის ეროვნული სისტემების გაძლიერება საქართველოში. 2021 წლის 26 მაისს მოსახლეობის ვაქცინაციის ხელშესაწყობად, აღნიშნული ხელშეკრულების პირველ პუნქტს, „COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირება“ დაემატა ახალი ქვეკომპონენტი 1.3 ვაქცინის მიწოდება და განხორციელება, რომლის მიზანია:

- საქართველოს ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერა პროექტით განსაზღვრული COVID-19-ის ვაქცინების შეძენითა და გამოყენებით;
- საქართველოს ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება ვაქცინის უსაფრთხოდ და ეფექტურად გამოყენებისთვის, მათ შორის: (i) ვაქცინის განაწილების პრიორიტეტულობის განსაზღვრასთან დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკის შემუშავება; (ii) ვაქცინაციის მარეგულირებელი სტანდარტების განსაზღვრა; (iii) ცივი ჯაჭვის, მიწოდების, შენახვის, ლოგისტიკის და ტრენინგის სტანდარტების და პროტოკოლების შემუშავება; და (iv) ანგარიშვალდებულების, საჩივრების, მოქალაქეთა და თემის ჩართულობის მექანიზმების შემუშავება და განვითარება;
- და ვაქცინასთან დაკავშირებული საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარების, იმუნიზაციის სისტემების და მომსახურების გაწევის შესაძლებლობების, მათ შორის ცივი ჯაჭვის ელემენტების, ტრანსპორტის და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის, ვაქცინის მართვის შესაძლებლობების შეფასების და მიწოდებაზე მომუშავე პირების ტრენინგის მხარდაჭერა.